

ფაქტობრივი გარემოებები	შეფასება	ღონისძიებები
<p>საქართველოს რეზიდენტი საწარმო ახორციელებს ორგანიზაციაზე შემოწირულების (ფულადი სახსრების) გაცემას (მათ შორის, უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით).</p>	<p>სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა.</p> <p>სსკ-ის 983 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოგების გადასახადით არ იბეგრება უსასყიდლოდ ფულადი სახსრების გადაცემა იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული წლის განმავლობაში საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულება მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10 პროცენტს არ აღემატება.</p> <p>სსკ-ის მე-8 მუხლის მე-40 ნაწილის მიხედვით, შემოწირულება არის ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება, მათ შორის, ფულადი სახსრები.</p>	<p>პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.</p>
<p>შემოწირულება (ფულადი სახსრები) გაცემულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე, რომელსაც მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.</p>	<p>იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რეზიდენტი საწარმოს მიერ შემოწირულება გაცემულია საქველმოქმედო ორგანიზაციაზე და ამასთან, გაცემული ფულადი თანხები არ აღემატება მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10 პროცენტს, საწარმოს არ წარმოეშობა მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი.</p>	
<p>საქართველოს რეზიდენტმა საწარმომ მოგების გადასახადით არ დაბეგრა საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულება, რამდენადაც გაცემული ფულადი თანხები არ აღემატებოდა მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10 პროცენტს.</p>		

➤ სიტუაციური სახელმძღვანელო ვრცელდება იმ საწარმოების მიმართ, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით

➤ სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 12 თებერვლისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით

ანოტაცია
„საქართველოს რეზიდენტი საწარმოს მიერ შემოწირულების გაცემა“ №2653
სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს საქართველოს რეზიდენტი საწარმოს მიერ ორგანიზაციებზე, რომლებსაც მინიჭებული აქვთ საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი, შემოწირულების (ფულადი სახსრების) გაცემისას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, საქართველოს რეზიდენტი საწარმო ახორციელებს ორგანიზაციებზე შემოწირულების (ფულადი სახსრების) გაცემას (მათ შორის, უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით). შემოწირულება (ფულადი სახსრები) გაცემულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე, რომელსაც მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი. საქართველოს რეზიდენტმა საწარმომ მოგების გადასახადით არ დაბეგრა საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულება, რამდენადაც გაცემული ფულადი თანხები არ აღემატებოდა მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10 პროცენტს.

სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა. სსკ-ის 98³ მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოგების გადასახადით არ იბეგრება უსასყიდლოდ ფულადი სახსრების გადაცემა იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული წლის განმავლობაში საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულება მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10 პროცენტს არ აღემატება.

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-40 ნაწილის მიხედვით, შემოწირულება არის ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება, მათ შორის, ფულადი სახსრები.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე:

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რეზიდენტი საწარმოს მიერ შემოწირულება გაცემულია საქველმოქმედო ორგანიზაციაზე და ამასთან, გაცემული ფულადი თანხები არ აღემატება მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10 პროცენტს, საწარმოს არ წარმოეშობა მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი.

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.